ოქმი N12

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის რიგგარეშე სხდომისა

ქ. ხობი **2025 წლის 9 ოქტომბერი**

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 19 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარემ კოლეგებს მიულოცა მე-6 მოწვევის საკრებულოში არჩევა, ასევე მიულოცა ახალ არჩეულ მერს დავით ბუკიას მეორედ არჩევა და წარმატებები უსურვა მათ საქმიანობაში.

დღის წესრიგი:

1. „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 0,

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა

1. „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ“ და განაცხადა, რომ საუბარი ჰქონდა საკრებულოს აპარატის უფროს ლ. შამათავასთან და შეთანხმდნენ, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ხობის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ“ და განკარგულების პირველი პუნქტშიც დაემატოს მუნიციპალიტეტის წინ სიტყვა „ხობის“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. დამტკიცდეს თანდართული, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ხობის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულება“

სხდომის თავმჯდომარე და საკრებულოს უმრავლესობა დაეთანხმა წარმოდგენილ წინადადებას „ხობის“ ჩამატების თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა, საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს (მ. თათარიშვილი) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-17 მუხლის შესაბამისად, „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის N1604 განკარგულების საფუძველზე, მუნიციპალიტეტს დელეგირების წესით გადმოეცა „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების

შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 აპრილის №134 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი[1]“ ქვეპუნქტით სამინისტროსთვის განსაზღვრული უფლებამოსილება, რის საფუძველზეც 2025 წლის 1 ოქტომბერს ხობის მუნიციპალიტეტსა და რეგიონალური განვითარების სამინისტროს შორის დაიდო უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულება. ხელშეკრულება ითვალისწინებს ხობის მუნიციპალიტეტისთვის საქართველოს რეგიონალური განვითარების სამინისტროს შემდეგი უფლებამოსილებების დელეგირებას: ა) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების ნაწილობრივი რეაბილიტაცია; ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა პოსტავტორიზაციის პროცესში, ავტორიზაციის სტანდარტებთან (ინფრასტრუქტურის ნაწილში) შესაბამისობის უზრუნველყოფის მხარდაჭერა; გ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის; დ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობაში ან/და ეზოში სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და ინვენტარით აღჭურვა; ე) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობებში სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობა/ აღჭურვა; ვ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გაზიფიცირება/ საწვავის/ ბრიკეტების/ შეშის შესყიდვა. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დელეგირების შესახებ ხელშეკრულებას ხელს აწერს მუნიციპალიტეტის მერი და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო, რისთვისაც ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წინადადებას, განკარგულების სათაურში და განკარგულების პირველ პუნქტში წარმოდგენილი ცვლილების განხორციელების თაობაზე

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 0,

კენჭი ეყარა კორექტირებულ განკარგულების პროექტის საბოლოო ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N15 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდგომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2025 წლის 9 ოქტომბრის რიგგარეშე სხდომაზე

დამსწრე საკრებულოს წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. ნუგზარ შუშანია
5. მედეა თათარიშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ლევანი ლიპარტია
8. დოდო გაბუნია
9. ბექა მამაცაშვილი
10. აკაკი მალანია
11. დიტო ხასია
12. მზია ლემონჯარია
13. ბადრი რიჟამაძე
14. კობა გერგაია
15. აკაკი ხურცილავა
16. სერგო ბერაია
17. გიორგი გვასალია
18. გივი ლატარია
19. ფრიდონი შონია